34. 6. პირველი სურათის აღწერა (მე-6 წერილი სერიიდან „სწავლის ძირი”)

რა დასამალია და, ყველაზე გაუგებარ და უაზრო საქმიანობად სურათის აღწერა მიმაჩნდა, როდესაც სკოლის მოსწავლე ვიყავი. კიდევ კარგი, ბევრი არ იყო ასეთი დავალებები და დიდად არც ვბეზრდებოდი... საინტერესოა, რა იწვევდა ჩემს ასეთ ფრუსტრაციას? ალბათ, არ მესმოდა ის ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებითაც ეს დავალება უნდა შემესრულებინა და მეც მექანიკურად მივყვებოდი, ვიმეორებდი მასწავლებლისეულ წინადადებებს.

წინამდებარე წერილში, რომელიც ჩვენი სერიის **„სწავლის ძირი”** მეექვსე წერილია, სწორედ სურათების აღწერაზე ვისაუბრებთ ქვემოთ წარმოდგენილი გეგმის მიხევდით.

- რა სურათები გვხვდება პირველი კლასის სახელმძღვანელოებში და რა მიზნით უნდა გამოვიყენოთ ისინი?
- როგორ აღვწეროთ სურათები?
- როგორ შევარჩიოთ, შევადგინოთ სურათები, რათა ისინი დავაკავშიროთ ფონეტიკურ და ფონოლოგიურ კომპეტენციას?
- სურათებისა და აქტივობების ნიმუშები

რა სურათები გვხვდება პირველი კლასის სახელმძღვანელოებში და რა მიზნით უნდა გამოვიყენოთ ისინი?

თუკი ჩვენს ციფრულ მეგობარს (ე. წ. ხელოვნურ ინტელექტს) ვკითხავთ, დაახლოებით ასეთ პასუხს მივიღებთ (პასუხი ცოტა გადაკეთებულია.):

გაკვეთილებზე სურათის აღწერა მრავალმხრივ სასარგებლო აქტივობაა და სხვადასხვა მიზანს ემსახურება. მისი გამოყენება შეიძლება:

1. ***ენობრივი უნარების განვითარებისთვის*** *– მოსწავლეები სწავლობენ აზრის გამოთქმას, იმდიდრებენ სიტყვათა მარაგს და ეჩვევიან გრამატიკული ნორმების სწორად გამოყენებას.*
2. ***კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებისთვის*** *– სურათის ანალიზი ხელს უწყობს დეტალებზე დაკვირვებას და ლოგიკური კავშირების დამყარებას.*
3. ***შემოქმედებითი აზროვნების წახალისებისთვის*** *– მოსწავლეებს შეუძლიათ სურათის საფუძველზე ისტორიების მოფიქრება და სხვადასხვა სცენარის წარმოდგენა.*

4. ***საზოგადოებრივი და კულტურული განათლებისთვის*** *– სურათების განხილვა შეიძლება გამოყენებულ იქნას ისტორიული, გეოგრაფიული ან კულტურული კონტექსტის გასააზრებლად.*
5. ***სამეტყველო უნარების გაუმჯობესებისთვის*** *– ენის გაკვეთილებზე სურათის აღწერა ეხმარება მოსწავლეებს თავისუფლად საუბარში და საკომუნიკაციო უნარების განვითარებაში.*
6. ***ემოციების და აზრების გამოხატვის სწავლებისთვის*** *– სურათის აღწერა ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბებასა და გაზიარებაში.*
7. ***უცხო ენის შესასწავლად*** *– უცხო ენების გაკვეთილებზე სურათის აღწერა ეხმარება ახალი სიტყვების სწავლასა და საკომუნიკაციო უნარების გაძლიერებაში.*

ამგვარად, სურათის აღწერა არის უნივერსალური მეთოდი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა საგანში და ეხმარება მოსწავლეებს მრავალმხრივ განვითარებაში.

ძნელია არ დავეთანხმოთ ჩვენს ციფრულ მეგობარს. თუმცა, შემოთავაზებულ ჩამონათვალში არ წერია ის მიზანი, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება დაწვრილებით საუბარი. ვგულისხმობთ ფონოლოგიური და ფონეტიკური კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რაც პირველი კლასის პირველივე დღეების მიზანი უნდა იყოს. და ჩვენ წარმოგიდგენთ ამ კომპეტენციების განვითარებას სწორედ კონკრეტული თემატიკის ილუსტრაციის სურათის აღწერის კონტექსტში. თუკი მივიჩნევთ, რომ ეს პირველი ილუსტრაციაა, აქცენტს გავაკეთებთ ქართული ანბანის პირველ სამ ბგერაზე და მხოლოდ ამ ბგერებით დაწყებული სიტყვების გააქტიურებით ვავარჯიშებთ პირველკლასელებს.

რაც შეეხება სურათების თემატიკას, იგი უნდა შეესაბამებოდეს, მოსწავლეთა ინტერესებს, იყოს მათთვის მოტივაციის აღმძვრელი, საინტერესო, სახალისოც, მკაფიოდ აღსაქმელი. თემატიკა შეიძლება იყოს: სათამაშო სიტუაცია, ცხოველები, კოსმოსი, ოჯახი, სკოლა, ქალაქი, სოფელი...

როგორ აღვწეროთ სურათები?

ჩვენ დაწვრილებით გვაქვს აღწერილი, თუ როგორ უნდა ვამუშაოთ მოსწავლეები თემატური პოსტერების გამოყენებით: [თემატური პოსტერების მრავალმხრივი გამოყენება - mastsavlebeli.ge]() მითითებულ წერილში წარმოდგენილი რეკომენდაციები შესაძლებელია შერჩევითად გამოვიყენოთ პირველი სურათების აღწერის დროსაც. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია მოსწავლეებს გამოვუმუშაოთ ფონოლოგიური კომპეტენცია და შედარებით ნაკლებ ყურადღებას დავუთმობთ, მაგალითად, შემოქმედებითი თუ კრიტიკული უნარების განვითარებაზე ვარჯიშს.

ქვემოთ წარმოდგენილი სურათების მიხედვით შემოთავაზებული იქნება კონკრეტული ნაბიჯები.

როგორ შევარჩიოთ, შევადგინოთ სურათები, რათა ისინი დავაკავშიროთ ფონეტიკურ და ფონოლოგიურ კომპეტენციას?

ილუსტრაციის შერჩევისას, შექმნისას უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე ფაქტორი:

- ის უნდა შეესაბამებოდეს პირველკლასელთა ინტერესებს, თემატიკას;
- ადვილად უნდა ,,იკითხებოდეს", მკაფიო იყოს მასზე ასახული სიტუაცია;
- უნდა იძლეოდეს ინტერაქციის საშუალებას;
- მასზე ასახული უნდა იყოს ისეთი საგნები, რომლებიც გამოგვადგება ფონოლოგიური და ფონეტიკური უნარების განვითარებისთვის.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ, თუ როგორ შევადგინეთ ჩვენი პირველი ილუსტრაცია.

ე. წ. ხელოვნურ ინტელექტს ვთხოვეთ აზოში მოთამაშე ბავშვების დახატვა. შმეოთავაზებულ ნახატს ჩავამატე სხვადასხვა საგანი, რომლებიც იწყებოდა ჩვენთვის სამიზნე ბგერებზე: ა-ზე, ბ-ზე და გ-ზე. ჩვენი მიზანია სწორედ ამ ბგერებზე გავაკეთოთ აქცენტი. სწორედ ამ და ასე დამზადებული ილუსტრაციის მიხედვითაა შემოთავაზებული ჩვენი სასწავლო მონაკვეთი.

სურათებისა და აქტივობების ნიმუშები

ქვემოთ წარმოდგენილია ფოტო-სლაიდები, რომლებიც ასახავს სათანადო აქტივობებს. სურათები დამზადებულია ხელოვნური ინტელექტის დახმარებით. აქტივობების აღწერა თან ერთვის შესაბამის ფოტოს. აღსანიშნავია, რომ აქტივობების განხორციელების დრო დამოკიდებული იქნება კონკრეტული სამიზნე ჯგუფის საჭიროებასა და ინტერესებზე. უხეშად რომ განვსაზღვროთ, ეს შინაარსი დაიკავებს ერთ სრულ სასწავლო კვირას, რომელიც, ცხადია, დატვირთული იქნება სხვადასხვა ლოგიკურად დაკავშირებული აქტივობითა და დავალებით.

I ფოტო

პირველკლასელებს წარედგინებათ მათთვის სრულიად ნაცნობი და სასიამოვნო გარემოს ამსახველი ილუსტრაცია: ბავშვები ქვიშაში თამაშობენ. ნახატზე ინტერაქცია შეიძლება წარიმართოს შემდეგნაირად:

— რას ვხედავთ სურათზე?

— ბავშვები თამაშობენ.

— სად თამაშობენ?

— ეზოში.

— კიდევ რა შეგვიძლია ვთქვათ: სად თამაშობენ ბავშვები?

— ქვიშაში.

— რამდენი ბავშვია ილუსტრაციაზე?

— ორი: გოგო და ბიჭი.

— სწორია: ეს არის ბიჭი, ეს არის გოგონა...

აქ მასწავლებელი ჰკითხავს მოსწავლეებს, თვითონ თუ თამაშობენ ხოლმე ქვიშაში და გაიხსენებენ რას აკეთებენ ხოლმე ამ დროს.

შშემდეგ კიდევ ერთხელ აკვირდებიან ილუსტრაციას და ასახელებენ იმ საგნებს, რომელსაც ხედავენ სურათზე.

II ფოტო

მასწავლებელს ცალკე აქვს მომზადებული ილუსტრაციაზე გამოსახული საგნები და ასახელებენ ამ საგნებს. აქ შეიძლება დაისვას შეკითხვა: რომელია ზედმეტი საგანი ამ ილუსტრაციაზე? და ბავშვები ადვილად ამოიცნობენ ხეზე მიმაგრებულ საათს.

ყველა საგნის დასახელების შემეგ მასწავლებელი დამარცვლით წარმოთქვამს თითოეულ სიტყვას და ამეორებინებს მოსწავლეებს.

III- IV ფოტო



დამარცვლის გათვალსაჩინოების, ვიზუალიზაციის მიზნით მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ ე. წ. დაჭრილი სურათები. როგორც ვხედავთ, თითოეული სურათი იმდენ ნაწილადაა ნახევრადგაჭრილი, რამდენი მარცვალიცაა მასში.

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ფოტოზე ასახულ სქემას და უხსნის, რომ საგანთა ნახატები უნდა გადაანაწილონ ამ სქემაში მარცვალთა რაოდენობის მიხედვით.

თუკი მოსწავლეებისთვის პირველად ხდება ასეთი აქტივობის შესრულება, ცხადია, მასწავლებელი მთავარ, მოდელის როლში იქნება და იგი გარკვევით, ნელ-ნელა დამარცვლის კიდევ ერთხელ თითოეულ სიტყვას და მიუჩენს თავის ადგილს.

V-VI ფოტოები



ამ ილუსტრაციის მიხედვით ვხვდებით, რომ კიდევ ერთხელ უნდა გადავაჯგუფოთ საგანთა ნახატები, ოღონდ პირველი ბგერის მიხედვით: პირველ სვეტში ა-ზე დაწყებულ საგნებს მოვათავსებთ, მეორეში — ბ-ზე, მესამეში — გ-ზე. ილუსტრაციაზე სპეციალურადაა რამდენიმე საგანი ამ მიზნით შერჩეული.

აქ მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს შეეძლოთ პირველი ბგერის იდენტიფიცირება ზეპირად ნათქვამ/გაგონილ სიტყვაში. თუკი ამ კომპეტენციასაც ამ ეტაპზე ვუმუშავებთ მოსწავლეებს, ცხადია, მასწავლებელს სპეციალური დროისა და ძალისხმევის გამოყოფა დასჭირდება ამისთვის, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება ისევ და ისევ მკაფიო დემონსტრირებით, მოდელირებით (ამ უნარის, პირველი ბგერის იდენტიფიცირებისთვის დამატებითი რეკომენდაციები მოცემულია ამავე სერიის მეორე წერილში: [ბგერების აღმოჩენა (მე-2 წერილი სერიიდან ,,სწავლის ძირი”) - mastsavlebeli.ge](mastsavlebeli.ge)).



აქაც პირველი ბგერის მიხედვითაა დაჯგუფებული სიტყვები, ოღონდ დამატებულია ის სურათები, რომლებიც არ გვხდება ჩვენს ილუსტრაციაზე. ასეთი სურათები მასწავლებლებს, განსაკუთრებით პირველი კლასის მასწავლებლებს, უხვად აქვთ ხოლმე და მიზნობრივი გადაჯგუფებისთვის ძალიან კარგი რესურსია. აგრეთვე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ სურათების ბარათებით უნდა ავაგოთ ე. წ. ბგერების კედელიც (ამის შესახებ იხ. ზემოთ მითითებული წერილი.).

რასაკვირველია, ყველა საგნის ნახატი არც გვექნება და არცაა საჭირო. ეს შეზღუდვა, შეიძლება ითქვას, მოსწავლეთა სასიკეთოდაც კი გამოდგება, რადგან ბავშვის მიერ არავიზუალურად წარდგენილი საგნის მოფიქრება და დასახელება არის სწორედ ის კომპეტენცია, რომელიც ამ მომენტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

ანუ მეხუთე ფოტოზე გამოსახულ სქემაზე მუშაობისას მასწავლებელი კიდევ დასვამს დამატებით შეკითხვას:

— აბა, კიდევ რომელი სიტყვების მოფიქრება შეგვიძლია ,,ა”-ზე?.. ,,ბ”-ზე?.. ,,გ”-ზე?..

და მოსწავლეებიც დაასახელებენ ჯერ ,,ა”-ზე დაწყებულ იმ სიტყვებს, რომელთა სურათებიც იმ მომენტისთვის არ გვექნება. შემდეგ — ,,ბ”-ზე, შემდეგ — ,,გ”-ზე და ეს ძალიან სასარგებლო გონებრივი ძალისხმევა იქნება მოსწავლეთა მხრიდან.

VII-VIII ფოტოები





მე-7 და მე-8 ფოტოებზე ასახული სიტუაცია ნაცნობი უნდა იყოს ჯერ კიდევ ,,ახალი დედაენის” შესახებ გამოქვეყნებული წერილებიდან და იგი მიზანს ისახავს სრულიად უმტკივნეულოდ და გასაგებად გამოვუმუშაოთ პირველკლასელებს ქართულ ოთხხაზიან საწერ ბადეში ორიენტირების უნარი მანამ, სანამ ასოების წერაზე გადავალთ.

ქართული საწერი ბადის მიხედვით დამზადებულ ფურცელზე (დაფაზე, ფორმატზე, თოკებზე...) გადავანაწილებთ, ამ შემთხვევაში, ილუსტრაციის მიხედვით დამზადებულ სურათებს. გასათვალისწინებელია, რომ სურათებიდან ზოგი დიდია, ზოგიც — შედარებით პატარა. ისინი იმ ზომის მიხედვით უნდა დავამზადოთ, რომ ბავშვებს ,,ვუკარნახოთ”, მივანიშნოთ თუ რომელ სივრცეში უნდა განათავსონ: ზედა ხაზებში, ქვედა ხაზებში თუ შუა ხაზებში. უნდა გვქონდეს ერთი-ორი ისეთიც, რომელიც მთელ სიმაღლეზე დაიკავებს სივრცეს.

მნიშვნელოვანია, როგორც სურათების ხაზებში გადანაწილებამდე, ასევე ამის შემდეგ ბავშვებთან ერთად ხმამაღლა ვისაუბროთ, რომ:

— ბიჭის სურათი მოთავსდება ზედა ხაზებში, გვირილა ქვედა ხაზებში დაიკავებს ადგილს, ავტო შუა ხაზებში დაეტევა, ასევე, აქლემიც და ატამიც...

ადვილი შესამჩნევია, რომ ფოტოები ისეთი ზომებითაა დაჭრილი, რომ ,,ა”-ზე დაწყებული სიტყვების სურათები ,,რატომღაც” მაინცდამაინც შუა ხაზებში თავსდება, ხოლო ,,ბ”-ზე და ,,გ”-ზე დაწყებული სიტყვების სურათები, შესაბამისად, — ზედა და ქვედა ხაზებში. ადვილი მისახვედრიცაა, რატომაც...

IX-X ფოტოები



მე-9 და მე-10 ფოტოებზე ასახულია ისეთი აქტივობა, რომელსაც ორმაგი დატვირთვა აქვს და, ამისდა მიუხედავად, სრულიად ადვილად დასაძლევია პირველკლასელებისთვის. ბავშვებს ვთხოვთ, თითოეული სურათის ქვეშ ნიმუშის მიხედვით ჩამოუსვას იმდენი ხაზი (სხვა შემთხვევაში, ეს ხაზი შეიძლება უფრო გრძელი იყოს ან სულაც რკალის ჩახაზვა იყოს მითითებული — სხვადასხვა გამოსახულების დაწერა ხომ კარგი მომზადებაა ასოების დაწერისთვის.), რამდენი მარცვალიცაა ამ სიტყვაში.

შესაბამისად, სრულიად ბუნებრივი და აზრიანი დავალება იქნება, თუკი ბავშვებს ვთხოვთ, სიტყვაში მარცვალთა რაოდენობის შესაბამისი ხაზი ჩამოუსვან ბადიან ფურცელზე, რასაც

ხალისით, გაცნობიერებით და მიზანმიმართულად გააკეთებენ. ნაცვლად იმისა, რომ ისინი ვაწვალოთ ფურცლის ერთი კიდიდან მეორე კიდემდე ხაზებისა თუ რკალების უაზრო და მტანჯველი ამოწერით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პროცედურის დროს, ბაშვები ეჩვევიან საწერ ბადესაც, სრულიად უმტკივნეულოდ და ზედმეტი ძალისხმევვის გარეშე. შეიძლება ზოგიერთმა მასწავლებელმა თქვას, ციფრულ ეპოქაში კლავიატურის შემყურე სულ აღარ სჭირებათ პირველკლასელებს ბადეში ორიენტირებაო, მაგრამ ასოთა განლაგებაზე დაკვირვება, საჭირო ადგილზე მათი მოთავსება საჭირო ძასლიხმევად მიგვაჩნია. მით უმეტეს, რომ ამ ძალისხმევით გამომუშავებული უნარი მრავალმხრივ საჭირო დარჩება ხილვად მომავალში — ობიექტისთვის სივრცეში ადგილის განსაზღვრისა და მიჩენის უნარი ბევრ რამეში გამოადგება ნებისმიერი ეპოქის ადამიანს. მით უმეტეს, როდესაც ამ უნარის გამომუშავებას ვიწყებთ ბავშვებისთვის სრულიად გასაგები და ფუნქციური დავალებით (საგნის სურათების ან თავად საგნების ხაზებში (გაბმულ თოკებზე...) მოთავსებით.

XI-XII ფოტოები



მე-11 და მე-12 ფოტოებზე ასახულია აქტივობები, როდესაც პირველკლასელები ნახატ-წარწერიან ბარათებს აკავშირებენ შესაბამის წარწერებთან. ბავშვებმა სკოლაში მისვლამდეც (თუ არა, პირველივე დღეებში) უკვე იციან, რომ სიტყვების ჩაწერა შეიძლება და ზოგიერთ სიტყვას ცნობენ კიდეც. წინა წერილებში ჩვენ განვიხილეთ მოსწავლეთა საკუთარი სახელებისა და სხვა ხშირის სიტყვების ცნობის შესახებ. ამ ფოტოებზე კი ასახულია განხილული ილუსტრაციის მიხედვით შერჩეული სიტყვების დაწერილობაზე ყურადღების გამახვილება და მათი ამოცნობა.

როგორც ილუსტრაციაზეა ასახული, გამოყენებულია ე. წ. ნახატ-წარწერიანი ბარათები ანუ ნახატთან ერთად წარწერაცაა გაკეთებული, რათა პირველ ეტაპზე ბავშვებს ჰქონდეთ წარწერების ერთმანეთთან დაკავშირების საშუალებაც — ესეც დიდი მიღწევა იქნება ამ დროისთვის. შემდეგ კი, სათანადო გავარჯიშების შემდეგ, ბავშვები მხოლოდ ნახატისა და შესაბამისი წარწერის დაკავშირებასაც მოახერხებენ.

XIII-XV ფოტოები

ბოლოს კი წარმოდგენილია სამი ფოტო, რომლებზეც ასახულია შემაჯამებელი დავალებები. წინასწარ აღვნიშნოთ, რომ ამ დავალებების შეთავაზება შესაძლებელია მოხდეს, როგორც ჯგუფური (წყვილებში) სამუშაოს ფორმატში, ასევე ინდივიდუალურადაც. ცხადია, აუცილებელი იქნება შემოთავაზებული რესურსის მოდიფიცირება დიფირენცირებული სწავლების

საჭიროების მიხედვით. ეს დავალებები კარგი წყარო იქნება იმის გასაგებად, თუ რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება შემდეგი ბგერების გააქტიურების პროცესში შემდეგ გაკვეთილებზე.

მე-13 ფოტოზე ასახულია აქტივობა, როდესაც ბაშვები ნახატებს ანაწილებენ შესაბამის სვეტში იმისდამიხედვით, თუ რამდენი მარცვალია მასში. ეს კომპეტენცია მათ გაივარჯიშეს ჩვენი ილუსტრაციის დამუშავებისას და ამ წერილში, ზემოთ სწორედ ეს პროცესიც იყო ასახული. აქ შეგვიძლია, ისეთი ნახატიც შევთავაზოთ ბავშვებს, რომელიც ამ ილუსტრაციის დამუშავებისას არ გააქტიურებულა და დავაკვირდეთ, რამდენი და რამდენად მოახერხებენ პირველკლასელები მათთვის სწორი ადგილის მიჩენას.

მე-14 ფოტოს მიხედვით ბავშვებს უკვე საწყისი ბგერის მიხედვით მოუწევთ სურათების გადაჯგუფება სვეტებში. ამ სიტყვებზეც ივარჯიშეს ბავშვებმა და ადვილად უნდა გაართვან თავი ამ დავალებასაც. აქაც შეგვიძლია ისეთი სურათები შევთავაზოთ ბავშვებს, რომლებიც ამ ეტაპზე არ გააქტიურებულა. მაგალითად, აფრა, ბუხარი, გარმონი...

მე-15 ფოტოზე კი ასახულია დავალება, რომელშიც სურათებს უნდა შეუსაბამონ წარწერები. ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ამის გაკეთება შეიძლება გაუჭირდეთ პირველკლასელებს, მით უმეტეს, საწყის ეტაპზე. ამ შემთხვევაში, კარგი იქნება სურათების ქვეშ შესაბამისი წარწერების მიწერა, მიკვრა ისე, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები.

და ბოლოს, კიდევ ერთი დავალება, რომელიც გაამთლიანებს მთელ ამ სასწავლო მონაკვეთს: ბავშვები მცირე ჯგუფებში მუშაობენ, რათა დაამზადონ საწყისი ილუსტრაციის მსგავსი აპლიკაცია შეთავაზებული რესურსების (ფერადი ფურცლები, გამოჭრილი ფიგურები, წარწერებიანი ბარათები, რეალური საგნები, ფერადი ფანქრები...) გამოყენებით და შემდეგ აღწერონ, წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები.